ადრესატი:

კობა ლურსმანაშვილი
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

წერილის ნომერი:**05-682420652**
თარიღი: **24/07/2024**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის N 29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ექვსი თვის ბიუჯეტის გეგმა შესრულების მიხედვით გადაჭარბებით შესრულდა ქონების გადასახადის წლიური გეგმა და დაგეგმილი 1 900 000 ლარის ნაცვლად მიღებულია 5 477 688 ლარი. მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან მიღწეული შეთანხმების საფუძველზე (დან. N1) შესაძლებელი გახდა აღნიშნული გადასახადის წლიური გეგმის გაზრდა 2 500 000 ლარით, (დან. N 2) რომელიც საჭიროა ახალი ვალდებულებების ასაღებად.

2. მუნიციპალიტეტის მერიაში სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მიღებული მომართვების საფუძველზე:

- ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის 2024 წლის 23/07 N 03-682420515 მომართვის თანახმად, (დან. N 3) სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დასასრულებლად და ახალი ვალდებულებების ასაღებად დამატებით საჭიროა **1 370 000 ლარი**

(ათას ლარებში)

პროგრამული კოდი	**დასახელება**	ათასი ლარი
	ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე (დან. N 3) მათ შორის:	**1370,0**
02 01 01	გზების კაპიტალური მშენებლობა	361,0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება (ვიდეოკამერების შეძენა, მოვლა-პატრონობა)	230,0
02 01 04	ხიდების/ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია	40,0
02 01 05	მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურეობა	45,0
02 02 01	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	60,0
02 02 02	სანიაღვრე არხებისა და მდინარეებზე ნაპირსამაგრების მოწყობა/გაწმენდა	20,0
02 05 03	კეთილმოწყობის ობიექტების რეაბილიტაცია (სკვერები)	50,0
02 06	სოფლის მხარდამჭერი პოგრამის თანადაფინანსება	50,0
02 04	მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია	169,0
	სამოქალაქო ბიუჯეტირება (მ. შ. კეთილმოწყობა -80,0 ათ. ლარი; სპორტული მოედნები -130,0 ათ. ლარი)	210,0
05 01 03	სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა, აღჭურვა.	135,0

- ა(ა)იპ ხარაგაულის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების 2024 წლის 19/07 N 15-682 420152 მომართვის თანახმად დამატებით ჭირდებათ **350 000 ლარი,** მათ შორის: 58 000 ლარი დასუფთავების და 42 000 ლარი გარე განათების სუბსიდირებისათვის და 250 000 ლარი არაფინანსური აქტივების გასაზრდელად. (დან. N4)

(ათას ლარებში)

პროგრამული კოდი	**დასახელება**	ათასი ლარი
	ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება (დან. N4) მათ შორის:	**350,0**
03 01; 02 03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა (დასუფთავება და გარე განათების სუბსიდირება)	100,0
03 01	ნაგვის ბუნკერების შეძენა	100,0
02 03 02	სპეც. ტექნიკის შეძენა (გარე განათების ამწე-კალათი)	100,0
02 03 02	გარეგანათების ქსელის რეაბილიტაცია	50,0

- სხვა დანარჩენ პროგრამებსა და და ქვეპროგრამებზე 780 000 ლარი. მათ შორის: ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრის სუბსიდირებაზე 44 000 ლარი; (დან. N 5) ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის სუბსიდირებაზე 53 000 ლარი (დან. N 6) ახალგაზრდული პროგრამებისა და სპორტული ღონისძიებების დაფინანსების გასაზრდელად 20 000 ლარი (დან. N 7) რელიგიის დაფინანსებაზე 20 000 ლარი;

ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის 23/07 N 02-682 420 513 მომართვის თანახმად (დან. N 8) მაღალი მომართვიანობიდან გამომდინარე სოციალური დაცვის პროგრამებში დამატებით ესაჭიროებათ 550 000 ლარი, მათ შორის:

(ათას ლარებში)

06 03	**სოციალური დაცვის პროგრამები დან. N 8) მათ შორის:**	**550,0**
06 03 01	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება	120,0
06 03 04	ერთჯერადი ფინანსური დახმარება	300,0
06 03 06	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	14,0
06 03 07	მარტოხელა მშობლების დახმარება	7,0
06 03 08	მარჩენალდაკარგულ და რეინტეგრირებულ პირთა დახმარება	12,0
06 03 09	ყოველთვიური დახმარება	17,0
06 03 17	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება, უსახლკაროთა და ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფა	60,0
06 03 20	გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამა	20,0

ა(ა)იპ სათნოების სახლის სუბსიდირებაზე 15 000 ლარი; (დან. N 9)

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 14 000 ლარი, (შრომის ანაზღაურების ხარჯებისა და სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელი ხარჯების ასანაზღაურებლად) (დან. N 10) სარეზერვო ფონდის შესავსებად 40 000 ლარი; წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფაზე 24 000 ლარი.

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ მონაწილეობა მიიღო გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GiZ) მიერ გამოცხადებულ კონკურსში და მოიპოვა გრანტი 100 000 ლარის ოდენობით, აღნიშნული გრანტი გათვალისწინებული იყო ხარაგაულის ინოვაციების ცენტრის ფუნქციური გაძლიერებისათვის საჭირო შესაბამისი ინვენტარის შესაძენად. პროექტის შეუფერხებელი განხორციელებისათვის მუნიციპალიტეტის მერიამ საკუთარი საბიუჯეტო სახსრების გამოყენებით შეისყიდა საჭირო ინვენტარი და შესაბამისი პროცედურების ჩატარების შემდეგ შესყიდვისა და მიღება - ჩაბარების დოკუმენტები, გადაუგზავნა გრანტის გამცემ ორგანიზაციას რის შემდეგაც მიმდინარე წლის 05 ივლისს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GiZ) მიერ ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ჩაერიცხა საგრანტო კონკურსში მოპოვებული გრანტის თანხა 76 159,84 ლარი.(დან. N 11) აღნიშნული თანხა მიმართული უნდა იქნას წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის ხარჯებში.

4. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიის ფარგლებში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტს შორის ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით 2023 წლის 31 მარტს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის თანახმად, 2023 წელს განსაზღვრული ზოგადი პირობებისა და სამიზნე მაჩვენებლების შესრულებისათვის, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30/05 N 746 განკარგულებით (დან. N 12) ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოეყო კაპიტალური გრანტი 550 000 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც მოხმარდება მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას,

5. საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ივლისის N 1025 განკარგულებით ,,მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (დან. N 13) ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოეყო 222 610 ლარი. საიდანაც 160 000 ათასი მიმართული იქნას გზების მიმდინარე შეკეთების ხარჯებში; 40 000 ათასი ლარი ხიდებისა და ხიდ ბოგირების რეაბილიტაციის ხარჯებში და 22 610 ლარი სასმელი წყლით უზრუნველყოფის ხარჯებში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე,

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 22 657 524 ლარი იზრდება 3 348 769 ლარით და განისაზღვრება 26 006 293 ლარით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელები 25 536 527 ლარი იზრდება 3 348 769 ლარით და განისაზღვრება 28 885 296 ლარით.

შემოსულობებისა და გადასახდელების ზრდის წყაროა ქონების გადასახადი 2 500 000 ლარი,

და საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GiZ) -დან მოპოვებული გრანტი 76 159 ლარი. მემორანდუმით მოპოვებული კაპიტალური გრანტი 550 000 ლარი და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი დაფინანსება 222 610 ლარი.

ვლადიმერ გელაშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური-სამსახურის უფროსი